ლელო

დამოუკიდებელი სპორტული გაზეთი

3 მაისი, პარასკევი, 1991 წ.
№ 80 (10493) ● ფასი 10 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

საქართველოში 29 აპრილს მომხდარი მიწისძვრის შედეგად დაზარალებული ქალაქებისა და რაიონების მოსახლეობისათვის დახმარების მიზნით გაიხსნა სპეციალური ანგარიში, რომლის ნომერია

001700272

საქართველოს ბინსოცბანკის სალუბერაციო სამმართველო

სპორტული ორგანიზაციების ჯილდო

● საქართველოს სპორტის დეპარტამენტის უმაღლესი სპორტული დოსტატების სკოლის თანამშრომლებმა 2790 მანეთი შეკრიბეს და შეიტანეს დახმარების ფონდში.

● **ბ. პაიჭაძის** სახელობის ეროვნულმა სტადიონმა გადარიცხა 10 ათასი მანეთი და თანამშრომელთა 3 დღის ხელფასი. დირექტორმა ვ. ელენტმა და მთავარმა ინჟინერმა ზ. ნოზაძემ გაიღეს თითო თვის ხელფასი, სტადიონთან არსებული მცირე საწარმო „მიმინოს“ კოლექტივმა — 5 ათასი მანეთი.

● **ამიერკავკასიის** რკინიგზის საფეხბურთო კლუბმა „მერანმა“ გუშინ გადარიცხა 1200 მანეთი.

გურამ აბსანძე — ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი

გუშინ თბილისის ჭადრაკის სასახლეში ჩატარდა საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებელი საჭადრაკო ფედერაციის დამფუძნებელი ყრილობა, რომელიც გახსნა საქართველოს რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტის დირექტორმა კ. ასათიანმა. ინფორმაციით გამოვიდა დიდოსტატი ბ. გურგენიძე. კამათში მონაწილეობდნენ თ. გიორგაძე, ს. მეგრელიშვილი, ზ. თანდაშვილი, ჯ. მახათაძე, გ. ხომერიკი, შ. ხაბურზანია. განიხილეს და დაამტკიცეს წესდება.

ყრილობამ ფედერაციის პრეზიდენტად ერთხმად აირჩია საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრი გ. აბსანძე, ვიცე-პრეზიდენტად — ბ. გურგენიძე.

ალექსანდრიაში თბილისის გავლით

ამდენ პენსიონერს „ლელოს“ რედაქციაში, ალბათ, არასდროს მოუყრიათ ერთად თავი. ისინი ბაქოდან ჩამოვიდნენ ველოსიპედებით, სადაც 23 აპრილს დაიწყო ახლო აღმოსავლეთის მშვიდობის ველოგადარბენა. ველოგადარბენის ინიციატორი, 75 წლის რუსული წარმოშობის ფრანგი, ფრანგული გაზეთის „ახალი ჰუმანიზმის“ რედაქტორი, ჟურნალისტი გიორგი კრასოვსკი გახლავთ. კომენტარიც სწორედ მას ვთხოვეთ:

— შარშან მოვაწყეს ველოგადარბენა მოსკოვი-პარიზი, რომელიც მიეძღვნა მშვიდობის, ეკოლოგიის და ადამიანთა უფლებების დაცვას, და უნდა აღვნიშნო, რომ გადარბენამ თავისი დანიშნულება გაამართლა. ყველგან, სადაც ჩავდიოდით, ყურადღებას ვიმსახურებდით, გაგებითა და სითბოთი გვეკიდებოდნენ, მაგრამ მე ვფიქრობ, ასეთი ღონისძიებანი თავის მოვალეობას იქ უფრო ასრულებს, სადაც კონფლიქტური სიტუაციებია. ამიტომ, მეგობრებთან შეთანხმებით, გადავწყვიტეთ წლევანდელი ველოგადარბენა ახლო აღმოსავლეთში განგვეხორციელებინა. ჩანაფიქრის ხორცშესხმა აპრილის ბოლოს დავიწყეთ ბაქოში, და, ვფიქრობთ, დავასრულებთ ივნისის ბოლოს ეგვიპტეში, კერძოდ, ალექსანდრიაში. ჩვენი მარშრუტი, რომელიც 4500 კილომეტრს მოიცავს, გადის აზერბაიჯანზე, საქართველოზე, სომხეთზე, თურქეთზე, სირიაზე, ლიბანზე, იორდანიაზე, ისრაელსა და ეგვიპტეზე. მორალური დახმარება გაგვიწიეს „იუნესკომ“ და გაერომ. ჩვენი მიზანია, კვლავ მივაპყროთ ადამიანთა ყურადღება კაცობრიობის უმთავრეს პრობლემებზე — მშვიდობაზე, ეკოლოგიასა და ადამიანთა უფლებების დაცვაზე. ამასწინანდელმა ომმა ერაყსა და ქუვეითს შორის თვალნათლივ დაგვანახვა, თუ როგორ შეიძლება პოლიტიკოსის ერთმა არასწორმა გადაწყვეტილებამ გამოიწვიოს ათასობით ადამიანთა მსხვერპლი, გააბინძუროს ბუნება, გაწიროს ადამიანები... ჩვენ შემთხვევით არ მოვხვედრილვართ საქართველოში, რადგან ვიცით, სიწყნარე არც აქ არის. თქვენი ხალხით მოხიბლული ვარ. ქართველები ამაყები ხართ, სწორედ ასეთები მიყვარს, თქვენ ჩემს სულს ენათესავებით. ვისურვებდი, რომ საქართველო რაც შეიძლება მოკლე ხანში გახდეს თანასწორუფლებიანი სახელმწიფო არა მარტო ევროპაში, არამედ მთელ სამყაროში. იქნებ ამაში ჩვენც შევიტანოთ მოკრძალებული წვლილი. მომდევნო გადარბენაზე აუცილებლად მოვიწვევთ თქვენს წარმომადგენელს, რაღა თქმა უნდა, თუ მას სურვილი ექნება.

ალექსანდრე კოტოლაშვილის ფოტოები

ს უ რ ა თ ებ ზ ე: გიორგი კრასოვსკი; ველოგადარბენის მონაწილენი გამომცემლობა „ხამშობლოს“ წინ.

გუშინ ველოსპორტის დიდი თაყვანისმცემლის თედო ნიკოლაიშვილის მეგზურობით სტუმრებმა დაათვალიერეს თბილისის ღირსშესანიშნაობანი, დღეს კი ადრიანად ერევნისკენ აიღებენ გეზს. რამდენიმე დღის შემდეგ ისინი კვლავ დაბრუნდებიან საქართველოში და აქედან ბათუმის გავლით თურქეთს გადავლენ.

კეთილი გზა ვუსურვოთ მშვიდობისათვის მებრძოლთ!

ზურაბ გელაშვილი

რამდენ ხანს ცოცხლობენ ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები, ვინ არიან ყველაზე ხანდაზმულნი?

ამ საინტერესო კითხვაზე პასუხის მისაღებად საგანგებო გამოკვლევა ჩაატარა „ლელოს“ ახალმა თანამშრომელმა, პროფესიონალმა სპორტულმა ჟურნალისტმა ზურაბ ტაბატაძემ. (იხ. მე-4 გვ).

რა ისმის უცხოეთიდან?

„ჩიკაგო“, „ფილადელფია“, „ლეიკერსი“...

გრძელდება კალათბურთელთა ეროვნული ასოციაციის (ნბა) ჩემპიონატის მეორე ეტაპის მატჩები „პლეი-ოფის“ სისტემით. 30 აპრილსა და 1 მაისს გაიმართა მესამე წრის შეხვედრები, რომლებმაც ხუთსერიან მატჩებში გამარჯვებული სამი გუნდი უკვე გამოავლინა. ესენია „ჩიკაგო ბულსი“, „ფილადელფია-76“ და „ლოს ანჯელეს ლეიკერსი“.

აღმოსავლეთის კონფერენცია

30 აპრილი. „ჩიკაგო ბულსი“ — „ნიუ-იორკ ნიკსი“ 103:94.

ჩიკაგოელ „ხარებს“ მოგებული ჰქონდათ წინა ორი შეხვედრაც: პირველი ანგარიშით 126:85, მეორე— 89:79. ამრიგად მიკრო-მატჩის შედეგი გახდა 3:0 (შეფარდება 318:258). „ჩიკაგომ“ გაინაღდა შემდგომ ეტაპზე თამაშის უფლება. დარჩენილ ორ შეხვედრას, თუ კი ისინი გაიმართება, მხოლოდ პრესტიჟული მნიშვნელობა ექნება.

1 მაისი. „ბოსტონ სელტიქსი“ — „ინდიანა პეისერსი“ 112:105.

პირველი ორი მატჩის შემდეგ აქ ანგარიში თანაბარი იყო, ვინაიდან ეოთი ორთაბრძოლა ბოსტონელებმა მოიგეს (127:120), მეორე — ინდიანელებმა (130:118). ახლა დაწინაურდა ბოსტონი — 2:1 (შეფარდება 357:355). ეს გუნდები შესაძლოა კიდევ ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს დღეს და 5 მაისს.

30 აპრილი. „დეტროიტ პისტონსი“ — „ატლანტა ჰოუკსი“ 103:91.

ამ წყვილის შეხვედრაში დაწინაურდა „დეტროიტი“ 2:1 (შეფარ.

იხ. მე-3 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვახსოვხართ, ჩემპიონებო!

არ დამილალატებია მეგობრები...

სპორტსმენთა უმრავლესობა თავის ბედს პირველ მწვრთნელს უმადლის, ზოგი — მშობელს, ზოგიც — გაუთვალისწინებელ შემთხვევას. 50-იანი წლების მსოფლიოს ულლიერესი ძალოსანი რაფაელ ჩიმიშკიანი თავის არჩევანს და სახელოვან სპორტულ ცხოვრებას კარის მეზობელს, მსახიობ ვანო ტურიაშვილს და კიდევ... მის მიერ „აკრძალულ ხილს“ უნდა უმადლოდეს.

ზემელზე ცხოვრობდნენ, მეგობრულ-მეზობლურ თბილისურ ეზოში. ბიჭები დილიდან საღამომდე ბურთს დასდევდნენ და რაფაელიც მათთან იყო, მაგრამ თვალი სულ მეზობლის აივნისკენ ეჭირა. ძია ვანომ უბნის ონავრები გააფრთხილა: ჩემს აივანზე რომ შტანგაა, ხელი არ ახლოთ, თორემ მე ვიცი თქვენიო, თვითონ კი ყოველ დილას ვარჯიშობდა და მისი ვაჟკაცური ტორსის შემხედვარეს, თავად ტანმომცრო ბიჭს ოცნებად ჰქონდა გადაქცეული, მეზობელს დამსგავსებოდა. დიდხანს შეჰყურებდა „აკრძალულ ხილს“ შორიდან. ბოლოს, რისი ცელქი და მოუსვენარი იქნებოდა, ჩუმად რომ არ გადაპარულიყო მეზობლის აივანზე. ძია ვანო შინ არ იყო... პირველსავე ცდაზე ასწია შტანგა, პირველს მეორე მოჰყვა, მეორეს—მესამე. გათამამდა ბიჭი, როგორც კი მეზობლეს შინიდან გასულს დაიგულებდა, შტანგასთან გაჩნდებოდა და შუბლზე ოფლის ხვითქი გადასდიოდა. ერთხელაც მოუსწრო ძია ვანომ, გაუკვირდა, ასეთი პატარა ამ სიმძიმეს როგორ ერევიო, არც დაუცაცხანა, არც უსაყვედურა, ქუჩის იმ ონავარი ბიჭებიდან მხოლოდ პატარა რაფაელს მიეცა მსახიობის აივანზე ვარჯიშის უფლება.

უკვე ვთქვით, სპორტსმენის ბედს ზოგჯერ შემთხვევაც განსაზღვრავს. ალბათ, ასეთ შემთხვევად შეიძლება ჩაითვალოს 1946 წლის ზაფხულის ერთ თბილ საღამოს მომხდარი ამბავი. თავისი ქუჩის ბიჭებთან ერთად აუზზე წავიდა, იქ ერთი ნაცნობი, ვალენტინ იანკოვიჩი შეხვდა, თავადაც რომ ვარჯიშობდა ძალოსნობაში. ადვილად შეამჩნია დაკუნთული პატარა ბიჭი გამოცდილმა თვალმა და ვარჯიშის დაწყება შესთავაზა, ოღონდ ერთი პირობით — თუ რაფაელი მის აწევას და წყალში გადაგდებას შეძლებდა. ვარჯიშის სურვილი იმდენად აწვალებდა, დათანხმდა, ასწია თავისზე ლამის ორჯერ დიდი ბიჭი, უბოდიშოდ წყალში მოისროლა და... თავადაც გადაჰყვა. ეს ნაძლევი რაფაელ ჩიმიშკიანს კინაღამ სიცოცხლის ფასად დაუჯდა. სამაგიეროდ, მეორე დღისთვის საღამოს შვიდ საათზე ვალენტინ იანკოვიჩთან პაემანი დათქვა ყოფილ ძერჟინსკის სახელობის კლუბთან და დაიწყო კიდევ გზა დიდ სპორტში.

— დათქმულ დროზე ადრე მივედი, — იხსენებს ბატონი რაფაელი, — ბოლთას ვცემდი, ვიდრე ვალენტინი მოვიდოდა. ტყუილად ვცქმუტავდი. მწვრთნელმა შემომხედა თუ არა, გასინჯვაც აღარ დაუპირა, ტანად პატარაა, ამან რა სიმძიმე უნდა ასწიოსო. უკან არ დავიხიე, ვთხოვე. საშუალება მოეცა მეჩვენებინა ჩემი ძალა. პატარა შტანგისკენ მიმითითა, მე სიმძიმეები დავამატე და ისე ავწიე. აღფრთოვანდა კაცი, მეორე დღესვე დამიბარა მეცადინეობაზე.

ჩემთვის პირველ საკავშირო ჩემპიონატზე, რომელსაც გორკი მასპინძლობდა, მეცხრე ადგილზე გავედი. თითქოს სატრაბახო შედეგი არ უნდა იყოს, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ ვარჯიში სულ რაღაც ოთხი თვის დაწყებული მქონდა, თანაც შეჯიბრებაში ისეთი მრავალნაკადი ოსტატები გამოდიოდნენ, როგორებიც გრიგორი ნოვაკი, იაკობ კუცენკო და ნიკოლაი შატოვი იყვნენ, ჩემი მეცხრე ადგილი ურიგო მაჩვენებელი არ გახლდათ.

ამ წარმატებამ მომავალი ასპარეზობებისთვის შემაგულიანა და მეც მთელი მონდომებით დავიწყე ვარჯიში.

● თქვენი სპორტული მიღწევების შესახებ არაერთხელ თქმულა და დაწერილა. დრო იყო, რაფაელ ჩიმიშკიანის სახელი მთელ მსოფლიოში ქუხდა. ეს, ალბათ, სწორედ ასეთმა მონდომებულმა ვარჯიშმა განაპირობა...

— ვარჯიშის დაწყებიდან ერთი წლის შემდეგ რესპუბლიკის ჩემპიონი გავხდი, მერე ბრმა ნაწლავის ოპერაცია გავიკეთე და მთელი წლით ჩამოვშორდი სპორტს. იანვაისლე თუ არა მეცადინეობა, სულ მალე, 1948 წლის აპრილში, კიევში გამართულ საკავშირო პირველობაზე სპორტის ოსტატის ნორმატივი შევასრულე. მეექვსე ადგილზე გავედი. იმავე წლის დეკემბერში პირველად გავხდი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გუნდურ ჩათვლაში. ეს ასპარეზობა იმიტომ გავიხსენე, რომ აქ ვაჯობე ევროპის ჩემპიონ ივან აზდაროვს და საკავშირო ჩემპიონატებში მრავალგზის გამარჯვებულ ვალენტინ დონსკოის. შეიძლება ითქვას, ამ წარმატებამ განაპირობა, რომ იმავე წელს საბჭოთა კავშირის ნაკრებში ჩამრიცხეს.

● სულ მალე კი ახალი ტრიუმფი გელოდათ, ამჯერად — მსოფლიო რეკორდმენისა...

— ეს 1949 წელს იყო, იმ წელიწადს ჯერ ვორონეჟში გამართულ საკავშირო პირველობაში გავიმარჯვე, რამდენიმე თვის შემდეგ კი მოსკოვ-უკრაინა-საქართველოს მატჩში პირველი მსოფლიო რეკორდი დავამყარე. ატაცში 92 კილოგრამი დავძლიე და ნახევარი კილოთი ვაჯობე დიდბრიტანელ კრუისს. ამავე წელს კიდევ ერთხელ მოვიპოვე საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა გუნდურ ჩათვლაში. შემდეგ, მჩატე წონის ნაცვლად, მსუბუქში გამოვდიოდი, ეს იმის მერე, რაც ძველმა ნაოპერაციევმა შემახსენა თავი და ცოტა ხანს კვლავ ჩავწექი.

● რამდენადაც ვიცი, საკავშირო ნაკრების ხელმძღვანელობა, რომელ წონაშიც მოიხურვებდა, იმ წონაში გამოგიყვანდათ. ამიტომ, ხან მჩატეში გამოდიოდით, ხან ქვემსუბუქში. მიზეზი რა იყო?

— მიზეზი, მოკლედ რომ გითხრათ, შოვინიზმი იყო, თუ მჩატეში გამოჩნდებოდა ვინმე რუსი, მე ქვემსუბუქში „გადამაგდებდნენ“ ხოლმე, თუ ქვემსუბუქში ჰყავდათ თავიანთი კანდიდატურა, მაშინვე „მამჩატებდნენ“. ზოგჯერ ამის გამო დავმარცხებულვარ კიდეც. 1950 წელს, ისევ „მჩატეში“ რომ დამაბრუნეს, საბჭოთა კავშირის პირველობა წავაგე ლოპატინთან, იმავე წელს მსოფლიო ჩემპიონტში მეორე ადგილზე გავედი, ირანელ მუჰამედ ნამდიუსთან დავმარცხდი; ევროპის პირველობა კი მოვიგე, თუმცა ძალიან გამიჭირდა.

● ნამდიუსთან მარცხი ახსენეთ. აქ, თუ არ ვცდები, ყველაფერი ახმა გრამმა გადაწყვიტა. საერთოდ, ძალოსანთა ცხოვრებაში ხშირია შემთხვევები, როცა გამარჯვების ბედს ათლეტის წონა, გრამებიც კი წყვეტს ხოლმე.

— როგორც უკვე ვთქვი, ეს მსოფლიო ჩემპიონტზე იყო, ამ შეჯიბრების წინ სახელდახელოდ შვიდი კილო დამაკლებინეს და კვლავ მჩატე წონაში გამომიყვანეს. მე 56 კილოგრამი ვიყავი, ნამდიუ — 55,900. აჭიმვაში ნაღდად წავაგე, მაგრამ ატაცში ვაჯობე. აკვრის შემდეგ გათანაბრდა ანგარიში და, ვიხაიდან მეტოქე ასი გრამით მჩატე იყო, გამარჯვება მას მიაკუთვნეს. სასწრაფოდ წონის დაკლებამ, როგორც ჩანს, ორგანიზმზე იმოქმედა.

● გამიგონია, რაფაელ ჩიმიშკიანი ბევრჯერ საერთოდ არც ერთ წონაში არ გამოუყვანიათ, ხშირად შეჯიბრებებზეც არ მიჰყავდათო.

—რამდენჯერ თქმულა და დაწერილა — თუ შენს კონკურენტზე ათი თავით მაღლა არ იდექი, ძნელი იყო ნაკრების წევრი გამხდარიყავი. მე კი, სომეხი და თანაც საქართველოში გაზრდილი, ორმაგად ვიჩაგრებოდი. 1957 წელს ირანში წამიყვანეს მსოფლიო პირველობაზე. წაყვანით კი წამიყვანეს, მაგრამ სარბიელს არ გამაკარეს, კარგად არ ხარ მომზადებულიო, ირადა, ჩემს ნაცვლად ევგენი მინაევი დააყენეს, რომელიც ამერიკელ ისააკ ბერნერთან დამარცხდა. შეჯიბრების დამთავრების შემდეგ რეკორდების საღამო მოაწყვეს, სადაც მე ზედიზედ ორი რეკორდი დავამყარე ატაცში და აკვრაში. მზად რომ არ ვყოფილიყავი, განა შევძლებდი ამას? კიდევ ერთს გავიხსენებ იმის დასტურად, ნაკრების ხელმძღვანელობისთვის „მიზეზ-მიზეზ დოს მარალი რომ აკლდა“ ხოლმე: უდოდოვს და საქსონოვს ლოთობისა და საზღვარგარეთ უწესო საქციელისთვის საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება ჩამოართვეს, ცოტა ხანში კი ისევ დაუბრუნეს და შეჯიბრებებზეც მიჰყავდათ; აბა, მე ვყოფილიყავი, ან ჩვენი რომელიმე თანამემამულე?!..

მაგრამ ჩემთვის, იცით, მთავარი რა იყო?! მსოფლიოს რომელ კუთხეშიც უნდა გამოვსულიყავი, იქ მცხოვრები ქართველები და სომხები გულითა და სულით მამხნევებდნენ, რუსები კი ამ დროს უპატრონოდ მიტოვებულებს ჰგავდნენ. მე ორი ერის სახელი გამქონდა მსოფლიო ასპარეზზე.

● როგორც ვიცი, ხაქსონოვი თქვენი ერთ-ერთი უშუალო კონკურენტი იყო — მან რამდენიმე „დამარცხება“ ჩაგაწერინათ თქვენი სპორტული ცხოვრების ისტორიაში...

— მართალი ბრძანდებით: მასთან ორჯერ დავმარცხდი საბჭოთა კავშირის ჩემპიონატზე. ყველაზე მეტად 1953 წელს სტოკჰოლმში, მსოფლიოს და ევროპის პირველობაზე წაგებამ დამწყვიტა გული, თუმცა სულ მალე სვერდლოვსკში გამართულ საკავშირო პირველობაში (ამ ქალაქში ცხოვრობდა საქსონოვი) მე გავიმარჯვე და როდესაც საპატიო კვარცხლბეკზე მდგარს მედალს მკიდებდნენ, საქსონოვის ნათქვამს მოვკარი ყური: რა ძნელია, საკუთარ ქალაქში რომ მარცხდებიო.

● ამ დროისთვის უკვე ოლიმპიური ჩემპიონიც იყავით და, თუ არ ვცდები, ერთ-ერთი პირველი ციმაკურიძის შემდეგ, ვინც ხაქართველოდან წარგზავნილთაგან ოლიმპიური ოქროს ჯილდო მოიპოვა.

— ყველა სპორტსმენის ოცნებაა ოლიმპიური ოქროს მედალი. მე ეს ოცნება ჰელსინკში ამიხდა. ჩვენ ოტანიემში ვცხოვრობდით ქალაქიდან მოშორებით, შეჯიბრების ადგილიდან დაახლოებით 17-18 კილომეტრზე. მოჭიდავეთა იმდღევანდელი ასპარეზობა ადრევე დასრულდა. სპორტსმენებს ავტობუსმა მოაკითხა წასაყვანად. გივი კარტოზია, ვახტანგ ბალავაძე, ვახტანგ კუხიანიძე მოვიდნენ ჩემთან და შემაგულიანეს: რაფო, ჩვენ მივდივართ და აბა შენ იცი, საქართველო უნდა ასახელოო. არც დამიღალატებია მეგობრები, ოქროს მედალთან ერთად ორი რეკორდი დავამყარე — ოლიმპიური და მსოფლიო. შუადამისას ჩავედით ოტანიემში. ჩვენები გარეთ დამხვდნენ, ბალავაძემ სახელდახელოდ ლექსი შემითხზა, ვიღაცას დოლი ჰქონდა წამოღებული, შემოჰკრა და ჩამოვუარეთ ჩვენებურად. მთელი ღამე არ დაგვიძინია. ჩვენს ბანაკში ასეთი ტრადიცია იყო — ვინც ჩემპიონი გახდებოდა, დილით საზეიმო ტორტს მიართმევდნენ, ახალ ჩემპიონს კი უნდა დაეჭრა. ტორტი მეც მომართვეს და დამაჭრევინეს.

● სპორტ ვერც სიჭარმაგეში შეელიეთ...

— ცოტა ხანს სპეციალობით, კბილის ტექნიკად ვიმუშავე, მალე მივხვდი, ჩემი ბედი სპორტულ სარბიელთან იყო სამუდამოდ დაკავშირებული, ამიტომ მსაჯობას მივყავი ხელი. მრავალი პრესტიჟული შეჯიბრება მომსაჯია. 1980 წელს კვლავ მივიღე მონაწილეობა ოლიმპიადაში, ამჯერად — როგორც მსაჯმა.

...ქუჩაში რომ შეგხვდეს, ვერც იფიქრებ, თორმეტი მსოფლიო და არაერთი სხვა რეკორდი თუ აქვს დამყარებული, მსოფლიოს, ევროპის ჩემპიონი და ჰელსინკის ოლიმპიადის ოქროს მედლის მფლობელი თუ არის. ერთი უბრალო, ჩვეულებრივი კაცია, თბილისში და თბილისურად გაზრდილი. ასეთი არაერთი გამოუზრდია ჩვენს ქალაქს.

ინგა ჩახვაშვილი



რაფაელ ჩიმიშკიანი

სპეციალისტი წუხს და ოცნებობს

შეცდომებზე ვისწავლოთ

ჩვენში ძალოსნობა ამჟამად ალმავლობის გზაზეა. ადრე, მაგალითად, რგბ წლის მანძილზე ფედერაციის სხდომა არ ჩატარებულა. მეტიც, ფედერაციის დანიშნული (და არა არჩეული) თავმჯდომარე არც ერთ მწვრთნელს არ უნახავს. ცხადია, ასეთ ვითარებაში საქმე წინ ვერ წავიდოდა. და მაინც, მაინ თითქოს გადაიდგა პრაქტიკული ნაბიჯი — გაიხსნა ორი სკოლა ხოხუმში და ცხინვალში. მაგრამ რა, ხოხუმში სპორტსკოლის კარი დახშული იყო როგორც ქართველებისთვის, ისე აფხაზებისთვის. თითქოს დაუჯერებელი ფაქტია: ცხინვალში მხოლოდ ორი სპორტსმენი იყო ქართველი. მიზეზი? ხსენებულ სკოლებში არაქართველი მწვრთნელები მუშაობდნენ. ცხინვალში ვ. გრიგოროვი ავარჯიშებდა ქართველებს (ეროვნებით ხომეხი), დაახურა ხელოვნური ტალავში, ხოლო ერთ პერიოდში ხელოვნაურშიც. დაიკარგა ტრადიციები ზესტაფონში, იქაური ძალოსნები დიდი ხანია აღარ გვინახავს ხარბიელზე. ოზურგეთში, მიუხედავად იმისა, რომ ამ რაიონში რამდენიმე რესპუბლიკის ჩემპიონი და რეკორდსმენი აღიზარდა, 1955 წელს გახსნილი დარბაზი, ერთხელაც არ გამთბარა. ზუგდიდში ცოტა ხანს მწვრთნელი ჯუმბერ მამფორია ხაკუთარი ხახლის სარდაფში ავარჯიშებდა შეგირდებს, ასეთ პირობებში მან აღზარდა რამდენიმე ოსტატი და კანდიდატები მოუმზადა საქართველოს ნაკრებ გუნდს. თელავში დღესაც ბრძოლაა იმაზე, ახალაგებული დარბაზი — მოკრივეებს ეკუთვნის თუ ძალოსნებს. ისეთი გამოცდილი სპეციალისტი, როგორიცაა რობერტ ხამიშვილი, თელავში მხოლოდ ხავარჯიშო ადგილს ითხოვს, ძალოსნებს კი გასამრჯელოს გარეშე ამეცადინებს. ორიოდე ხატუვა ჩაქვზეც მინდა ვთქვა, რამდენიმე ათეული წელი ჩაქვი აჭარის ძალოსნობის ბაზა იყო, მაგრამ იქაც მწვრთნელ რევაზ ბახილიას ვერ გამოუნახეს საკარჯიშო ადგილი, თუნდაც ხარდაფი. ორი წელია ეს ხაკითხი ვერ მოგვარდა. ხამტრედიაში და ფოთში დღემდე არავის უფიქრია ძალოსნობის განვითარებისათვის.

კიდევ ერთი ხაკითხი: იყო პერიოდი, როცა ძალოსნობამ მთლიანად დაკარგა ეროვნული ხახე — ქართულ ენაზე შეჯიბრების ოქმების შედგენა, გულშემატკივრებისთვის დარბაზში ინფორმაციის ქართულად მიწოდება და მხაჯთა ტერმინოლოგიაში მშობლიური ხიტყვების გამოყენება იკრძალებოდა. ერთხელ მე და მეცნიერებათა კანდიდატმა შოთა ბუაძემ უკმაყოფილება გამოვთქვით ამის გამო. იცით რა გვითხრეს? მთავარმა მწვრთნელმა ქართული არ იცისო. მინდა ვიკითხო და ეს კითხვა მაშინაც დავსვი — კაცი, რომელიც ორმოც წელზე მეტია ჩვენთან ცხოვრობს და ქართულს არ დაეუფლა, შეიძლება უფროსად დაგვიდგეს?

მადლობა ღმერთს, ახლა მდგომარეობა შეიცვალა, ამუშავდა ფედერაცია, დაინიშნა მთავარი მწვრთნელი, რომელიც უდავოდ ნიჭიერი სპეციალისტია. მაგრამ აქვე უნდა ითქვას, მთელი სიმძიმე ფედერაციამ მთავარ მწვრთნელზე არ უნდა გადაიტანოს.

ამთავითვე გადასაწყვეტია, აგრეთვე, ერთი უმთავრესი ხაკითხი — რესპუბლიკის ყველა რაიონში უნდა გამოინახოს თუნდაც მინიმალური შესაძლებლობები ძალოსნობის განვითარებისათვის.

ვალერიან შავიშვილი,
ხაქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

ამოკლედ

ადიგენის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე თამაზ ჟუთათელაძე გვატყობინებს

მას შემდეგ, რაც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა გამოცხადდა, პირველი სპორტული ასპარეზობა ადიგენის ძირძველ ქართულ მიწაზე ჩატარდა თავისუფალ ჭიდაობაში. ეს იყო რესპუბლიკური ტურნირი და მიეძღვნა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას.

შეჯიბრება გამოირჩეოდა ჩინებული ორგანიზაციით და განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია. უძლიერესის სახელი დაძაბულ ბრძოლაში მასპინძლებმა — ადიგენის ფალავნებმა დაისაკუთრეს, მეორე საპრიზო ადგილი ხვდა ქუთაისის ნაკრებს, მესამე იყო ხონის რაიონის გუნდი.

th international flavor

ski news

slopes are south facing, the snow tends to melt during the day and freeze at night, Peter said.

Neither visiting racer ever gets to ski much powder snow, so the storms earlier this month were a nice bonus. "Great powder, great powder," the duo echoed.

Both young men hail from skiing families. Marcus' father was the start referee for last August's World Cup race. His mother is chair of the local ski club and visited Aspen four years ago for the Friendship Cup.

Peter's father is an avid skier as well.

Whether their ski club experience will mean tangible success remains to be seen. Both boys hope so.

"It's obvious that the Aspen Ski Club produces more Olympic skiers and racers than our Georgian team," Peter said. Training is also much easier here, as back home he must travel 1½ hours to ski.

The situation is the same for Marcus, who resides one hour and 20 minutes away from Mt Hutt.

Both hope to use their stay in the Roaring Fork Valley as springboards for future ski racing. Marcus' goal is to "make the New Zealand team and race in World Cups," while Peter just hopes to qualify for the Soviet "professional team."

Even if these lofty goals aren't attained, they'll always have a few bragging rights over their friends and families.

"I'm really happy I can tell my friends I skied on Aspen Mountain, where they'd all like to ski," Marcus said.



Peter Tsiskarishvili (left) and Marcus Saxton are training this winter with the Aspen Ski Club. Roy Willey photo.

„პოლიეუდის გარსკვლავივით..."

ქართველი მოთხილამურე ამერიკაში

პეტრე ცისკარიშვილი

სკვო-ველი და კოლორადო-სპრინგსი — ზამთრის სპორტის პოპულარული ცენტრები ამერიკის შეერთებულ შტატებში — არავისთვის უცხო არაა, კოლორადოს შტატის გულში მდებარე „თეთრი კუბორტი" ასპენი კი ნაკლებად იყო ცნობილი სპორტის მოყვარულთათვის. მაგრამ უკანასკნელ 5-6 წლის მანძილზე ასპენი საუკეთესო სამთო-სათხილამურო ცენტრად მოიხსენიება არა მარტო ამერიკაში, არამედ მსოფლიოშიც.

იგი მთებშია ჩაფლული ბაკურიანივით, 2.400 მეტრზე მდებარეობს ზღვის დონიდან (შედარებისათვის ვიტყვით, რომ ჩვენი გუდაური 2.200 მეტრზეა) და არც მეტი, არც ნაკლები, ასამდე სათხილამურო ტრასას და არანაკლები რაოდენობის საბაგიროებს „მიითვლის".

ამ კუბორტის „ბამებმა" ისიც განაცხადეს, რომ ახლო მომავალში აქ მოეწყობა საერთაშორისო აეროპორტი, რომელიც დიდ ტრანსკონტინენტურ ლაინერებსაც მიიღებს.

განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ასპენში სამთო-სათხილამურო კლუბი „ასპენ-სკი-კლაბი", რომელიც ყოველწლიურად მასპინძლობს მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთ ეტაპს.

ამ კლუბში სულ ექვსი თვეა ვარჯიშობს და იქვე, ადგილობრივ სკოლაში სწავლობს ქართველი ჭაბუკი — 17 წლის თბილისელი მოთხილამურე, საქართველოს ნაკრების წევრი პეტრე ცისკარიშვილი. იგი ჩვენი რესპუბლიკის არაერთგზის ჩემპიონია იუნიორთა შორის სამთო თხილამურების სხვადასხვა სახეობაში და, სპეციალისტების აზრით, საკმაოდ პერსპექტიული სპორტსმენია. აქვე უნდა ითქვას, რომ პეტრეს არ გასჭირვებია ასპენთან შეგუება, რადგან იგი მშვენივრად ფლობს ინგლისურს და არანაკლებ კარგად იცის ესპანურიც. ქართველი ჭაბუკი დაუმგობრდა მასავით „უცხოელს" — თანატოლს ახალ ზელანდიიდან მარკუს საქსტონს, რომელიც ნახევარი წლის წინათ მიიწვიეს „ასპენ-სკი-კლაბში".

საოცრად სწრაფად ხელოვნდებოდა პ. ცისკარიშვილი ასპენის ტრასებზე, სადაც მას მართლაც საუკეთესო მწვრთნელები ავარჯიშებენ. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის, რომ პეტრემ ამერიკის სამი შტატის (იუტა, მონტანა და კოლორადო) პირველობაზე სპეციალურ და გიგანტურ სლალომში შესაბამისად IV და VI ადგილები დაიკავა. ამით მან ფის-ის საჭირო რეიტინგი მოიპოვა და მსოფლიო ჩემპიონატში გამოსვლის უფლება მიიღო. ეს პირველი ქართველი სამთომოთხილამურეა, რომელიც ასეთ შეჯიბრებაში გამოვიდა.

პ. ცისკარიშვილს, როგორც დებიუტანტს მსოფლიო ჩემპიონატზე, ბოლო, 68-ე სასტარტო ნომრით გამოსვლამ მოუწია და, მიუხედავად ამისა, ათ გამოცდილ მეტოქეს აჯობა. სხვათა შორის, ეს პირველი შემთხვევა იყო ასპენში, როდესაც აქაური სკოლის აღსაზრდელი მოზრდილთა ესოდენ პრესტიჟულ ასპარეზობაში გამოვიდა.

ჩვენს ხელთაა გაზეთ „ასპერ ტაიმსის" ორი ნომერი. მისი სპორტული მიმომხილველი, ქალბატონი მედელინ ოსბერგენი განსაკუთრებით უსვამს ხაზს ქართველი სპორტსმენის „დაუჯერებელ აღმასვლას" ოსტატობის მწვერვალებისაკენ და სიამაყით აღნიშნავს, რომ „მხოლოდ ამერიკაში შესაძლებელი კაცმა ჰოლივუდის ვარსკვლავივით რეალურ ცხოვრებაში აიხდინოს ბავშვობის ოცნება".

გაზეთის მეორე ნომრის მასალაში წაკითხულობთ ასპენის საერთაშორისო კლუბის შესახებ. ჟურნალისტის მოსწრებული გამოთქმით, იგი „შეკმაზულია საერთაშორისო არომატით". აქვე დასტამბულ ფოტოზე (რომელსაც ვთავაზობთ „ლელოს" მკითხველს) წარმოდგენილნი არიან კლუბის უცხოელი წევრები — ქართველი პეტრე ცისკარიშვილი (მარცხნივ) და ახალზელანდიელი მარკუს საქსტონი.

ოთარ ნოზაძე

თანამედროვე ოლიმპიადები პირველიდან ოცდამეცხრამდე

სკანდალური ოლიმპიადა

ლონდონის ოლიმპიადის შემდგომი პერიოდი მსოფლიოში მძლავრი ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისით აღინიშნა. შესამჩნევად გართულდა ურთიერთობა მთავრობათა ლიდერებს შორის, რომლებიც კრიტიკული სიტუაციიდან გამოსვლის უებარ საშუალებად ახალ, ტოტალურ ომებს მიიჩნევდნენ. ჯარისკაცის მაზარაში გახვეული ევროპა მზად იყო ფეხით გაეთელა სისხლით მოპოვებული სიმშვიდე და მყუდროება. ასეთი საყოველთაო ისტერიის ატმოსფეროში განსაკუთრებით კეთილშობილური და მიმზიდველი გამოჩნდა ოლიმპიური იდეა და პროგრესულმა სამყარომაც მთელი გულისყური V თამაშებზე გადაიტანა, რომელიც ჩატარდა სტოკჰოლმში 1912 წლის 5 მაისიდან 22 ივლისის ჩათვლით.

ოლიმპიადაში მონაწილეობა მიიღო 28 ქვეყნის 2541-მა სპორტსმენმა, მათ შორის 57-მა ქალმა. თამაშებში პირველად გამოვიდნენ ეგვიპტე, ლუქსემბურგი, პორტუგალია, სერბია, იაპონია. სტოკჰოლმში შედგა თანამედროვე ხუთჭიდის, როგორც ოლიმპიური დისციპლინის დებიუტი.

V ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონი (ხუთჭიდსა და ათჭიდში) ამერიკელი ინდიელი ჯიმ ტორპი, რომელსაც ორივე უმაღლესი ჯილდო ჩამოერთვა.

სტოკჰოლმის თამაშებში, ძველბერძნული ოლიმპიადების მსგავსად, პირველად მოეწყო ხელოვნების კონკურსი. სპორტული თემატიკისამი მიძღვნილი ნაწარმოებები წარმოადგინეს არქიტექტორებმა, ფერმწერებმა, მოქანდაკეებმა, მუსიკოსებმა, ლიტერატორებმა. მაგრამ კონკურსს რატომღაც არ ჰქონია დიდი რეზონანსი. მან ერთობ შეუმჩნევლად ჩაიარა.

შვეციის დედაქალაქში საფუძველი ჩაეყარა თამაშების საზეიმო გახსნისა და დახურვის ტრადიციას. პირველად გამოიყენეს იქვე ელექტროგამომთვლელი ხელსაწყოები, საინფორმაციო ტაბლო, ფოტოფინიში. სტოკჰოლმის ოლიმპიადის დღეებში შეიქმნა მოყვარულ მძლეოსანთა საერთაშორისო ასოციაცია (იაიაფ-ი). მაგრამ სტოკჰოლმის ოლიმპიადამ ამით კი არ გაითქვა სახელი, არამედ... უაღრესად სუსტი და არაობიექტური მსაჯობით. სწორედ ამის გამო იგი ისტორიაში შევიდა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე სკანდალური ოლიმპიადა. ზეპირი და წერილობითი პროტესტების ტალღას არ ჰქონდა ზღვარი. უკმაყოფილებას გამოხატავდა ყველა — ავსტრალიელი მძლეოსნებიცა და ინგლისელი მოცურავეებიც, გერმანელი მოჭიდავეები და უნგრელი მოფარიკაველები, ფინელი მსროლელები და ფრანგი ხუთჭიდელები, იტალიელი ტანმოვარჯიშეები და ამერიკელი ნიჩბოსნები. ისინი ვერ ფარავდნენ აღშფოთებას იმ უწესრიგობათა გამო, რომლებმაც ოლიმპიადა, ფაქტობრივად, ჩაშლის პირამდე მიიყვანა.

თამაშების დახურვისას პროტესტთა ზღვამ მთლიანად შთანთქა საორგანიზაციო კომიტეტის საქმიანობა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა თავის ერთ-ერთ წევრს ა. ვინინგენს წინადადებით მიმართა შეეკრიბა, დაემუშავებინა და დაესტამბა ყველა პროტესტი და წინადადება, რათა მომდევნო ოლიმპიადების ორგანიზატორებს მხედველობაში მიეღოთ და გაეთვალისწინებინათ ისინი. ამ უნიკალურ ნაშრომს ეწოდა: „შენიშვნები და წინადადებები ოლიმპიური თამაშების გაუმჯობესების თაობაზე".

უსიამოვნო შთაბეჭდილება რომ გაექარწყლებინათ, შვედებმა თამაშების საზეიმო დახურვის შემდეგ ზედ სტადიონზე გრანდიოზული ბანკეტი მოაწყვეს. მოწვეულთა შორის არ იყვნენ მხოლოდ მსაჯები — ეს გონივრული ნაბიჯი გახლდათ, ვინაიდან ისედაც გახელებულ უცხოელებს ზედმეტი გაღიზიანება არ სჭირდებოდათ.

რაც შეეხება ოლიმპიადის წმინდა სპორტულ ნაწილს, იგი უდავოდ მაღალ შეფასებას იმსახურებს. ყველაზე მეტად თავი ამჯერადაც მძლეოსნებმა გამოიჩინეს: სტოკჰოლმში გაუმჯობესდა 19 ოლიმპიური რეკორდი (მათ შორის 8 მსოფლიო რეკორდი). 7 შესწორება შეიტანეს რეკორდების ცხრილში მოცურავეებმა (3 მსოფლიო რეკორდი).

შვეციის მეფე გუსტავ I აჯილდოვებს ცხენოსანთა ტურნირში გამარჯვებულ კ. ბონდეს (შვეცია).

V ოლიმპიადის ჭეშმარიტ გმირად აღიარეს ამერიკელი ინდიელი ჯიმ ტორპი, რომელმაც ორი ოქროს მედალი მოიგო ხუთჭიდსა და ათჭიდში. განსაკუთრებით ეფექტური იყო მისი გამარჯვება ათჭიდში. 9 სახეობის შემდეგ ტორპს იმდენი ქულა ჰქონდა, რამდენიც მეორე პრიზიორმა, შვედმა ხ. ვისლანდერმა ათი სახეობის ჯამში დააგროვა. ასეთი რამ მძლეოსნობაში არ მომხდარა და ტორპიც ყველა დროის საუკეთესო მძლეოსნად აღიარეს, მაგრამ, აი საოცრება... ამერიკის დელეგაციამ გააპროტესტა თავისივე სპორტსმენის წარმატება, საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა კი მას მხარი დაუჭირა. ტორპის ორივე შედეგი გააუქმეს (ვითომდაც მას ადრე სამოყვარულო სტატუსი დაერღვია) და გამარჯვება შესაბამისად ნორვეგიელ ფ. ბიეს (ხუთჭიდში) და შვედ ხ. ვისლანდერს (ათჭიდში) მიანიჭეს.

გთავაზობთ გუნდურ ჩათვლაში პირველი ექვსი პრიზიორის ვინაობას:

	ო.	ვ.	ბ.
შვეცია	24	24	17
აშშ	23	19	19
ინგლისი	10	15	16
ფინეთი	9	8	9
გერმანია	5	13	7
საფრანგეთი	7	4	8

სტოკჰოლმი. 1912 წელი. ოლიმპიური სტადიონის შესახვლელთან.

რა ისმის უცხოეთიდან?

(დასასრული)

დება 302:282). პირველი ბრძოლა მოიგო „ატლანტამ" (103:98), მეორე — „დეტროიტმა" (101:88). გადამწყვეტი მატჩი გაიმართა გუშინ. თუ ეს ორთაბრძოლა მოიგო „ატლანტამ", მაშინ მეტოქეები ერთმანეთს ერთხელ კიდევ შეხვდებიან 5 მაისს.

30 აპრილი. „ფილადელფია-76-" — „მილუოკი ბაქსი" 121:100.

აქაც ყველაფერი გაირკვა. ფილადელფიამ გაიმარჯვა მშრალი ანგარიშით — 3:0 (შეფარდება 332:214). შეგახსენებთ პირველი ორი შეხვედრის შედეგს: 95:90 და 116:112.

დასავლეთის კონფერენცია

30 აპრილი. „სიეტლ სუპერსონიკი" — „პორტლენტ ტრეილ ბლეიზერსი" 102:99.

ჯერჯერობით დაწინაურებულია „პორტლენდი" — 2:1 (შეფარდება — 324:310), მაგრამ თუ „სიეტლმა" გაათანაბრა ანგარიში, მაშინ ყველაფერი ხვალ გაირკვევა. როგორც ვიუწყებოდით, ორი პირველი ბრძოლა „პორტლენდმა" მოიგო 110:102 და 115:106.

1 მაისი. „გოლდენ სტეიტ უორიორსი" — „სან ანტონიო სპურსი" 109:106.

ამ მატჩამდე ანგარიში იყო 1:1 (პირველი ორთაბრძოლა „სან ანტონიომ" მოიგო — 130:121, მეორე — „გოლდენ სტეიტმა" — 111:98). ახლა, როგორც ხედავთ, დაწინაურდა „გოლდენ სტეიტი" 2:1 (შეფარდება 341:334) და ყველაფერი ალბათ დღეს ან უკიდურეს შემთხვევაში 5 მაისს გაირკვევა.

30 აპრილი. „ლოს ანჯელეს ლეიკერსი" — „ჰიუსტონ როკეტსი" 94:90.

„ლეიკერსმა" სამ მატჩში მოაგვარა საქმე (პირველი მოიგო 94:92, მეორე — 109:98) და გაინაღდა მომდევნო ეტაპზე თამაშის უფლება (შეფარდება 297:280).

30 აპრილი. „იუტა ჯაზი" — „ფენიქს სანი" 107:98.

წინაა „იუტა ჯაზი" 2:1 (შეფარდება 329:290). პირველ შეხვედრაში; გახსოვთ ალბათ, იმარჯვა „იუტა ჯაზმა" (129:90), მეორეში — „ფენიქსმა" (102:92). გუშინ ამ გუნდების მეოთხე მატჩი გაიმართა.

სამი თუ ხუთი?

ევროპის საფეხბურთო წრეებში ახლა გაცხარებული დავა მიმდინარეობს იმის თაობაზე, თუ რამდენი უცხოელი მოთამაშე შეიძლება ჰყავდეთ პროფესიულ საფეხბურთო კლუბებს. ცნობილია, რომ ამის შესახებ ერთიანი, სავალდებულო დადგენილება არ არსებობს, — სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა კანონია, მაგრამ ფეხბურთის ასოციაციათა ევროპის კავშირს და ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებას სურთ საერთო შეთანხმებას მიაღწიონ.

ჯერჯერობით, წინასწარი მონაცემებით, 1992 წლის 1 იანვრიდან ევროპის ქვეყნების კლუბებს უფლება მიეცემა იყოლიონ ხუთი უცხოელი ფეხბურთელი, ე. ი. ახლანდელი ნორმა — სამი ფეხბურთელი — გაიზრდება ხუთამდე. ამ პროექტის თაობაზე იტალიელებმა განაცხადეს, რომ ახალი წესის დასაკანონებლად უმჯობესია სხვა თარიღი, კერძოდ, 1993 წლის 1 იანვარი.

უეფა-სა და ევროპის ეკონომიკური გაერთიანების სპეციალისტთა აზრით, თითოეული კლუბისთვის ლიმიტირებული ხუთი ფეხბურთელიდან ორი აუცილებლად უნდა ვეტერანი იყოს, ესე იგი, ისინი გუნდში უნდა თამაშობდნენ სულ ცოტა ხუთი წლის განმავლობაში.

აღნიშნავენ იმ წინააღმდეგობასაც, რომელიც არსებობს ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებასა და უეფა-ს შორის. ეკონომისტებს მიაჩნიათ, რომ ადამიანს უფლება აქვს შეუზღუდავად აირჩიოს სამუშაო ადგილი, სადაც კი მას სურს, უეფა-ს წარმომადგენლები კი მხარს უჭერენ ეროვნულ საფეხბურთო ტრადიციათა მყარ შენარჩუნებას და არ სურთ ფეხბურთი მომთაბარე მოთამაშეთა ასპარეზად აქციონ.

ქულები დააკლეს...

მუშტი-კრივის გამო

ინგლისის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომისიამ დამტკიცა გადაწყვეტილება ლონდონის „არსენალისთვის" ორი, ხოლო „მანჩესტერ იუნაიტედისთვის" ერთი ქულის დაკლების შესახებ. ეს იმიტომ, რომ ამ გუნდების ფეხბურთელებმა მატჩის დროს ნამდვილი მუშტი-კრივი გამართეს.

ორივე გუნდს შეეძლო გაესაჩივრებინა ეს გადაწყვეტილება, მაგრამ თავის შეკავება ამჯობინა.

როცა ამის საშუალებაა

ჰოლანდიურ ფირმა „ფილიპსს" დიდი ფინანსური შესაძლებლობები აქვს. იგი კარგა ხანია ცნობილ კლუბ „პსვ ეინდჰოვენის" სპონსორია. ახლა „ფილიპსის" ხელმძღვანელებმა ხელი მოაწერეს კონტრაქტს კოლუმბიის კლუბ „კრისტალ კალდასთან", რომელსაც ყოველწლიურად 300 ათას დოლარს გადაუხდიან.

უცუცესნი ოლიმპიელთა სამყაროდან

ოლიმპიური ჩემპიონი, რომელმაც საუკუნეს გადაალახა? — დაგვეთანხმებით, საინტერესო, მაგრამ საკმაოდ რთული კითხვაა. პასუხის გაცემა ძნელია, თუნდაც იმიტომ, რომ სპორტის ისტორიამ ძალიან ბევრი ოლიმპიური ჩემპიონი იცის. ამიტომაც გადავწყვიტეთ, რომ ამ საკითხზე მსჯელობისას მრავალგზის ოლიმპიური ჩემპიონებით შემოვფარგლულიყავით. კვლევისას კი აღმოვაჩინეთ არაერთი საინტერესო ფაქტი და კანონზომიერება, რომლებიც, ვფიქრობთ, არც მკითხველისთვის იქნება უინტერესო.

1912 წელი. სტოკჰოლმი. „ოლიმპიური ჯენტლმენები“ ცეცხლის ხაზზე.

დავიწყებთ იმით, რომ საუკუნეს მიტანებული ასეთი ოლიმპიელი ევროპაში არ აღმოჩნდა. არ აღმოჩნდა არც აფრიკაში, აზიაში, სამხრეთ ამერიკასა და ავსტრალიაში. გამონაკლისია აშშ — აქ გრძელდება ძიება ორი კანდიდატურისა, რომლებსაც შეუძლიათ „დაიტრაბახონ“ ამ „რეკორდით“. ერთი სიტყვით, ეს ფაქტი ჯერ კიდევ დასაზუსტებელია და მას ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით.

ძნელი მისახვედრი არ გახლავთ, რომ უხუცესი ჩემპიონები, პირველ ყოვლისა, მოვიძიეთ გასულ საუკუნეში დაბადებულ იმ ოლიმპიელთა შორის, რომელთაც ეს ტიტულები ჯერ კიდევ პირველ ოლიმპიადებზე მოიპოვეს. აქ უმალ ერთმა გარემოებამ მიიქცია ჩვენი ყურადღება: მათ შორის, ვინც ღრმა მოხუცებულობამდე იცოცხლა, უმრავლესობა მსროლელები იყვნენ, თანაც მათ სარბიელი სპორტის კვალობაზე საკმაოდ ჩანდაზმულებმა მიატოვეს. მსროლელთა გარდა, ცხადია, არიან სხვა სახეობების წარმომადგენლებიც: მაგალითად, ცნობილი შვედი მოჭიდავე ივარ იუჰანსონი და ამერიკელი ზოცურავე ჩარლზ დენიელსი. შვედი 1891 წლის 7 ნოემბერს დაიბადა და 88 წლისა, 1979 წლის 5 აგვისტოს გარდაიცვალა. თავისი ოლიმპიური „ოქროები“ იუჰანსონმა 1932-36 წლების ოლიმპიადებზე „შეაგროვა“ თავისუფალსა და კლასიკურ ჭიდაობაში. 1936 წელს, სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონად რომ „ეკურთხა“, 45 წლისა სრულდებოდა. დენიელსმა 1904-1908 წლებში სხვადასხვა დისტანციებზე თავისუფალი სტილით ცურვაში ოთხჯერ მოიპოვა ოლიმპიური ჩემპიონის ტიტული. ამ უხუცესმა ოლიმპიელმა ვეღარ მოასწრო გადაეხადა ოთხმოცდაათი წლის იუბილე — 1973 წლის 9 აგვისტოს 89 წლისა გარდაიცვალა.

მართალია, ამ ნარკვევის გმირები არ არიან ის ჩემპიონები, რომლებმაც სხვებზე უხნესებმა მოიპოვეს ოლიმპიური ოქროს მედლები, მაგრამ, განა იქნება მათ ასაკსა და ქაღარას არ ვცვთ პატივი?

შვედმა მსროლელმა ოსკარ სვანმა სამი ოლიმპიური ოქრო მოიგო 1908-12 წლებში. ბოლო ოლიმპიური მედალი გუნდურ შეჯიბრებაში 1847 წელს დაბადებულმა ოსკარ სვანმა 65 წლისამ მიიღო, მის გვერდით კი ოლიმპიურ კვარცხლბეკზე იდგა მისი 34 წლის ვაჟი — ალფრედი. ადვილი წარმოსადგენია, როგორი ყიყინით ამხნევებდნენ „წინაპრებს“ ტრიბუნებზე მსხდომი მათი შვილები და შვილიშვილები — 1912 წლის ოლიმპიური თამაშები ხომ შვეიციის დედაქალაქ სტოკჰოლმში მოეწყო. საამაყო პაპა 1927 წლის 7 მაისს გარდაიცვალა, 80 წლამდე აღარა აკლდა.

ამავე ოლიმპიადაზე ოსკარ სვანის თანამემამულე ვილჰელმ კარლსბერგი სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი გახდა იმავე სახეობაში — ტყვიის სროლაში, მომდევნო ოლიმპიადებზე — 1924 წლამდე — იგი ოთხჯერ დაეუფლა ვერცხლის მედლებს. 1970 წლის 5 აპრილს მთელმა შვეციამ იზეიმა სახელოვანი თანამემამულის 90 წლისთავი, რამდენიმე ხნის შემდეგ კი უკანასკნელ გზაზე გააცილა იგი.

აი, ახლა კი მოგითხრობთ ჩვენი ნარკვევის მთავარი გმირის, ბელგიელი მშვილდოსნის ჰუბერტ ვან ინესის შესახებ, რომელმაც ექვსჯერ მოიპოვა ოლიმპიური ჩემპიონის ტიტული 1900 და 1920 წლების ოლიმპიადებზე. ევროპელ მრავალგზის ოლიმპიურ ჩემპიონებს შორის ყველაზე დღეგრძელი სწორედ იგი გახლდათ, ვან ინესი დაიბადა 1866 წლის 24 თებერვალს და გარდაიცვალა 1961 წლის 25 ნოემბერს 95 წლისა. ბოლო ოლიმპიური მედალი მან 54 წლისამ მოიპოვა. ვის შეუძლია დაამტკოს ვან ინესის „რეკორდი“? კიდევ ერთხელ უნდა დავუბრუნდეთ შვეციას (გენიშათ, ალბათ, ესეც კანონზომიერებაა). სახელგანთქმულ შვედ მხედარს, ოთხგზის ოლიმპიურ ჩემპიონს საცხენოსნო სპორტში (1952-56 წლები) ჰენრი სენ-სირს, წლეულს 15 მარტს, 89 წელი შეუსრულდა. იუბილემდე წელიწადზე ნაკლები რჩება. მარჩიელობა, რა თქმა უნდა, მკრეხელობაა, ამიტომ, როგორც წესია, ჯანმრთელობა და დიდხანს სიცოცხლე ვუსურვოთ ამ ბრძოვან სპორტსმენს. აქვე დავძენთ, რომ თავისი ბოლო „ოქრო“, ვან ინესის მსგავსად, სენ-სირმაც 54 წლის ასაკში მოიგო.

მოვიგონოთ კიდევ ერთი სახელგანთქმული ოლიმპიელი, თუმცა იგი ჯერ „მხოლოდ“ 81 წლისაა. უნგრელი ალადარ გერევიჩი სამუდამოდ შევა ოლიმპიადების ისტორიაში — თავისი ხმლით მან შვიდი ოქროს მედალისკენ „გაიკაფა გზა“ ზედიზედ ექვს ოლიმპიადაზე... 1932-60(!) წლებში. დაგვეთანხმებით, უნიკალური მიღწევაა, განმეორება წარმოუდგენელიც კია. პირველი ოქროს მედალი გერევიჩმა 22 წლისამ მოიგო, მეშვიდე კი ორმოცდაათი წლის იუბილეზე „მიიძღვნა“. უნდა აღინიშნოს, რომ 50-60-იან წლებში საკმაოდ ხნიერი მოფარიკაველებიც აღწევდნენ წარმატებებს. საკმარისია გავიხსენოთ რომის ოლიმპიადა — მოხმალაველთა შორის ტოლი არ ჰყავდა კიდევ ერთ უნგრელს რუდოლფ კარპატის, დაშნით მოფარიკაველთა შორის კი უძლიერესი იტალიელი ედუარდო მანჯაროტი გახლდათ. ორივე მათგანი იმხანად ორმოც წელს იყო გადაცილებული.

საბჭოთა კავშირის სპორტსმენები, მოგეხსენებათ, გვიან ჩაებნენ ოლიმპიურ მოძრაობაში, ამიტომ მსგავს რეკორდსმენებს ტყუილად დავუწყებთ ძებნას. თუმცა... რევოლუციამდელი რუსეთის ერთადერთ ოლიმპიურ ჩემპიონს (ნიკოლაი პანინ-კოლომენკინს ხანგრძლივი სიცოცხლე და საინტერესო ბედი არგუნა განგებამ. იგი დაიბადა 1872 წლის 8 იანვარს ახლანდელ ვორონეჟის ოლქში. ამ თავადმა და ბრწყინვალე ოფიცერმა რუსეთის არაერთგზის ჩემპიონმა პისტოლეტით და რევოლვერით სროლაში ოლიმპიური ჩემპიონობა 1908 წელს (36 წლისამ) მოიპოვა... ფიგურულ სრიალში. ნიკოლაი პანინ-კოლომენკინმა 84 წელი იცოცხლა და 1956 წლის 19 იანვარს გარდაიცვალა ლენინგრადში.

საქართველოს ოლიმპიურ ჩემპიონთაგან უხნესი დავით ციმაკურიძეა. მას ახლახან შეუსრულდა 66 წელი. წესი არ გახლავთ ქალთა ასაკის გამეღავნება, მაგრამ, ალბათ, გვაპატიებს ქალბატონი მზია ჯუღელი, „ტანვარჯიშის დედოფალი“, რომელსაც წლეულს, 1 აგვისტოს, 66 წელი უსრულდება. ორი წლით უმცროსია მირიან ცალქალამანიძე, კიდევ ორი წლით — რაფაელ ჩიმიშკიანი. და გივი კარტოზია. ამ ათლეტთა და ქალბატონ მზიას ასაკი ჩვენი ნარკვევის გმირებთან რა მოსატანია!

ახლა კი დროა დავუბრუნდეთ ზემოთ ხსენებულ ორ ამერიკელ სპორტსმენს, რომელთაც შეიძლება უკვე აღნიშნეს კიდეც თავიანთი საუკუნოვანი იუბილე. ესენი არიან — კარლ ოსბერნი და ანტონ ჰეიდა. ოსბერნმა ხუთი ოქროს მედალი მოიპოვა სროლაში 1912 და 1920 წლების ოლიმპიურ თამაშებში. ტანმოვარჯიშე ჰეიდამ კი მედალთა ასეთივე კოლექცია მოიგოვა მხოლოდ ერთ ოლიმპიადაზე — 1904 წელს. იგი 1878 წელს დაიბადა, ოსბერნი — ექვსი წლის შემდეგ. ჩვენი საუკუნის 70-იან წლებში, როცა ისინი 90 წელს იყვნენ გადაცილებულნი, ორივე მათგანი ცოცხალი იყო. იქნებ დღესაც ცოცხლები არიან?! ცნობილია, რომ სროლა და ტანვარჯიში ამერიკაში არც ისე პოპულარული სახეობებია და ამიტომ ამ ორი უხუცესის კვალი ძნელი მისაგნებია. ამერიკულ სპორტულ ცნობარებში შეხვდებით ყველა მონაცემს ოლიმპიური ჩემპიონების — მძლეოსნების, მოცურავეების, კალათბურთელების, მოკრივეების და სხვა სახეობათა წარმომადგენლების შესახებ. აი, მსროლელებსა და ტანმოვარჯიშეებზე კი ბევრს ვერაფერს შეიტყობთ. თუმცა ჩვენ იმედს მაინც არ ვკარგავთ: ამ ცოტა ხნის წინათ ერთ ჩემს ამერიკელ კოლეგას ვთხოვე გამოერკვია ყველაფერი „ანტონ ჰეიდისა და კარლ ოსბერნის შესახებ. ველოდებით ზარს. იქნებ ამ ნარკვევსაც ჰქონდეს გაგრძელება...

ზურაბ ტაბატაძე,
„ლელოს“ მიმომხილველი.

ფორმენი, ჰოლმსი, სპინქსი, რეიტმანი...

ვინ არის შემდეგი?..

იყო დრო, კრივი ყმაწვილებისთვის მიუღებელ სპორტის სახეობად მიაჩნდათ. ამ ტენდენციამ ერთი ხანობა ისე გაიდგა ფესვები, რომ რიგ ქვეყნებში კრივის აკრძალვასაც კი მოითხოვდნენ. სხვათა შორის, ერთმა ასეთმა ძლიერმა ტალღამ 60-იან წლებში აშშ-საც, პროფესიული კრივის ამ კლასიკურ ქვეყანასაც, გადაუარა.

ახლა, როგორც ჩანს, საფუძველი ეურება საწინააღმდეგო მოვლენას: კრივი ვეტერანთა სპორტი ხდება. ამერიკული ჟურნალის „იუ-ეს-ეი თუდეიის“ ცნობით, „ბებრუხანა“ ჯორჯ ფორმენის მაგალითი იმდენად გადამდები გამოდგა, რომ რინგზე დაბრუნება გადაწყვიტა პროფესიული კრივის კიდევ ერთმა „სუპერვარსკვლავმა“, მსოფლიოო ექსჩემპიონმა ლარი ჰოლმსმა, რომელმაც სამი წელია თავი მიანება სპორტს, გახდა ბაბუა და თითქოს შეეთვისა ამ ახალ „როლს“.

ჟურნალის კორესპონდენტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ფორმენის კვალს კიდევ და კიდევ გაჰყვებიან მოკრივეები. ჰოლმსმა ბოლო ხუთი წლის მანძილზე ორად ორი ბრძოლა ჩაატარა პროფესიულ რინგზე და ორივე წაგო: ერთი — 1986 წელს მაიკლ სპინქსთან, მეორე კი 1988 წელს მაიკ ტაისონთან (ნოკაუტით).

ამასობაში კიდევ ერთი სენსაციური ცნობა გამოაქვეყნა, ახლა უკვე ფრანს პრესის საინფორმაციო კორესპონდენტმა: ფორმენისა და ჰოლმსის შემდეგ რინგზე დაბრუნება განიზრახა კიდევ ერთმა მსოფლიო ექსჩემპიონმა, 37 წლის ლეონ სპინქსმა. სხვათა შორის, ეს ის სპინქსი გახლავთ, რომელმაც 1978 წელს მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინი წაართვა მოჰამედ ალის, მაგრამ დიდხანს ვერ შეინარჩუნა იგი, ვინაიდან ნარკომანი გახდა.

უკვე გამოცხადდა სპინქსის პირველი მეტოქის ვინაობა. ეს გახლავთ ჰეროლდ რეიტმანი, რომელიც არც მეტი, არც ნაკლები, 41 წლისაა და პროფესიული მოკრივის კარიერა ორი წლის წინ, 39 წლის ასაკში დაიწყო. მოდით და ნუ იტყვით ამის შემდეგ — კრივი ვეტერანთა სახეობა ხდებაო.

სპორტული მაისი

1-5. ცხენოსნობა. საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონატი დაბრკოლებათა გადალახვაში. **ფოთი.**

1-7. მშვილდოსნობა. საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი (გოგონები და ჭაბუკები). **ბათუმი.**

3-5. ბატუტზე ხტომა. საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი. **ქუთაისი.**

3-23. ჭადრაკი. ნ. გაფრინდაშვილის საიუბილეო ტურნირი. **თბილისი.**

4-8. საერთაშორისო შაში. „სწრაფი შაში“ საქართველოს თასის გათამაშება. **თბილისი.**

6-10. ცურვა. საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი. **თბილისი.**

7-11. მხატვრული ტანვარჯიში. საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი. **თბილისი.**

9-12. საერთო-ფიზიკური მომზადება. საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი (ფინალი). **ჭიათურა.**

14-17. ქართული ჭიდაობა. საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი (ფინალი). **ქუთაისი.**

15-19. ძიუდო. საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი (ქალები). **ტყიბული.**

15-20. ტყვიის სროლა. საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი. **თბილისი.**

16-19. რაგბი (7X7). საქართველოს პირველობა 1979-1980 წ. დაბადებულთა შორის. **თბილისი.**

18-19. მძლეოსნობა. საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის და მოლდავეთის სამატჩო შეხვედრა. **თბილისი.**

18-21. ათლეტიზმი. საქართველოს ღია ტურნირი „ოქროს საწმისი“ (თავისუფალი ვარჯიშები). **თბილისი.**

20-26. ცხენოსნობა. საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი. **ზუგდიდი.**

21-25. ძალოსნობა. საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი. **თელავი.**

23-26. ბადმინტონი. საქართველოს თასი. **თბილისი.**

25-28. წყალში ხტომა. საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი. **თბილისი.**

25-30. თანამედროვე ხუთჭიდი. საქართველოს პირველობა ჭაბუკთა შორის. **თბილისი.**

26. ათლეტიზმი. საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი (თავისუფალი ვარჯიშები). **რუსთავი.**

26-1.VI. ბაგატელი ველოსპორტი. საქართველოს ჩემპიონატი მრავალდღიან რბოლაში. **თბილისი.**

შენიშვნა: პირველად დასახელებული თარიღი მონაწილეთა ჩამოსვლის დღეა.

ყველაფერი პროფესიულ კალათბურთზე

ნბა-ს ჩემპიონატს პოპულარობა არ აკლია არც აშშ-ში და არც მსოფლიოს სხვა ქვეყნებში. მაგრამ პროფესიული კალათბურთის ხელმძღვანელები არასდროს ამბობენ უარს პროპაგანდის რაიმე ახალ ფორმაზე, საშუალებაზე და ყოველ ასეთ წინადადებას მხურვალედ უჭერენ მხარს.

სწორედ მსგავსი მხარდაჭერის შედეგად შეიქმნა აშშ-ში შესანიშნავი ვიდეო-ფილმი კალათბურთის ეროვნული ასოციაციის (ნბა-ს) ისტორიაზე, რომელიც ექვსი ნაწილისგან შედგება და ზუსტად ერთ საათს გრძელდება. ფილმის პრემიერამ წარმატებით ჩაიარა როგორც ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე, ისე ევროპის ქვეყნებში და კინოკრიტიკოსების ქება დაიმსახურა.

ფილმი, როგორც ვთქვით, ექვსნაწილიანია: „კალათბურთის წარმოშობა“, „ბოსტონ სელტიკსი“ თაობათა თავგადასავალი“; „70-იანი წლების საუკეთესო ცენტრები“; „ნბა-ს სუპერვარსკვლავები სხვადასხვა ამპლუაში“: „მათზე, ვინც წვლილი შეიტანა კალათბურთში“; „ნბა — 80-იანი წლები.“

რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

სესიებზე შრომის წიგნაკის ამონაწერით

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტის დეკანატი სტუდენტების საყურადღებოდ აცხადებს, რომ ზაფხულის საგამოცდო სესიები ტარდება შემდეგი გრაფიკით:

I კურსი 16 — 31 მაისი
II კურსი 3 — 17 ივნისი
III კურსი 3 — 22 ივნისი
IV კურსი 3 — 22 ივნისი
V კურსი 8 — 28 მაისი

სტუდენტები ვალდებულნი არიან ინსტიტუტში გამოცხადებისას წარმოადგინონ შრომის წიგნაკის ამონაწერი პროფილით მუშაობის შესახებ.

დეკანატი

საქართველოს „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭო და თბილისის „დინამოს“ ოსტატ კალათბურთელთა გუნდი თანაგრძნობას უცხადებენ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს ამირან ხხიერელს ძმის,

თეიმურაზ ხხიერელის

სტიქიურ უბედურების შედეგად დაღუპვის გამო.

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ი. ჩახვაშვილი. კორექტორები: მ. ძეძამიძე და ვ. ბომერიკი.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096 თბილისი, ჭ. კოსტავას, 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54
„შერანი“ — 93-97-26, „მართვა“ — 93-97-27.

ინდექსი
INDEX
ИНДЕКС
66435

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „საქჭობლის“ სტამბა. 380009, თბილისი, ჭ. კოსტავას, 14. იბეჭდება ოფსეტური წესით, საგაზეთო კორპუსში, ბიბლიოგრაფიული, 29.
რედაქცია გულდასმით ეკიდება მკითხველთა წერილებს, მაგრამ ყოველ მათგანზე გამოხმაურებისა და პასუხის გაცემის საშუალება არ გაგვაჩნია. შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20